პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 აპრილი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 76 (9995) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**17 აპრილს** გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა.

მოისმინა რა პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა ინფორმაცია, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ ვითარების ნორმალიზაციის პროცესი როგორც თბილისში, ისე მთელ რესპუბლიკაში სულ უფრო ვითარდება.

მშრომელები, მოსახლეობა, ახალგაზრდობა, მთელი საზოგადოებრიობა მოწონებით შეხვდნენ გადაწყვეტილებას კომენდანტის საათის ხანგრძლივობის შემცირების შესახებ. ამასთან ვლინდება იმის გაგება, რომ დედაქალაქში, რესპუბლიკის სხვა რეგიონებში სათანადო წესრიგის დაცვა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია თვით საზოგადოებრიობის მეცადინეობის გაძლიერებაზე, სამართალდამცავი ორგანოებისადმი მისი დახმარების გააქტიურებაზე.

ორშაბათს დილიდან პრაქტიკულად განახლდა მეცადინეობა თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში, შესამჩნევად გაიზარდა დასწრების პროცენტი სკოლებში. ნორმალურად ფუნქციონირებენ სამრეწველო საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ყველა სამსახური.

გააანალიზა რა ვითარება შრომითს კოლექტივებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, აგრეთვე გაითვალისწინა რა მუშათა კლასის, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის, მთელი საზოგადოებრიობის მტკიცე მისწრაფება უზრუნველყონ წესრიგი თბილისში საკუთარი ძალებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გამოიტანა დასკვნა, რომ შეიქმნა 1989 წლის 18 აპრილიდან ქალაქში კომენდანტის საათის სრული გაუქმების პირობები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს რეკომენდაცია მისცა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ამასთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საჭიროდ მიაჩნია კვლავინდებურად აქტიურობდეს, ღრმავდებოდეს, განმარტებითი, პრაქტიკული ორგანიზატორული მუშაობა შრომითს კოლექტივებში, მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებში, მოსწავლე ახალგაზრდობაში სიტუაციის შემდგომი ნორმალიზაციისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით რესპუბლიკის დედაქალაქში შეიქმნა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელშეწყობის საქალაქო შტაბი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ბ. დ. მახარაშვილის მეთაურობით.

შტაბის შემადგენლობაში ოფიციალურ პირებთან ერთად შევიდნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. შტაბის ხელმძღვანელის მოადგილედ დანიშნულია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. ვ. გორგოძე.

ანალოგიური შტაბები იქმნება რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, სამრეწველო საწარმოებში, დიდ დაწესებულებებში, ორგანიზაციებში. მათ სათავეში უდგანან პარტიული კომიტეტების პირველი მდივნები, საწარმოო გაერთიანებების და საწარმოთა დირექტორები, დაწესებულებების და სასწავლებლების ხელმძღვანელები.

მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს დაევალათ მიაღწიონ კიდევ უფრო მეტ ობიექტურობას რესპუბლიკაში მდგომარეობის ნორმალიზაციის პროცესის გაშუქებაში, უფრო აქტიურად გააბათილონ სხვადასხვაგვარი მითქმა-მოთქმა და ჭორი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მხარი დაუჭირა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებას, დამყარებულს საზოგადოებრიობის სურვილზე, რომ შეიქმნას უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, ავტორიტეტიანი მეცნიერების, იურისტების, ჟურნალისტების, შემოქმედებითი კავშირების, არაფორმალურ გაერთიანებათა წარმომადგენლობისაგან დამოუკიდებელი უფლებამოსილი ჯგუფი, რათა მან სრულად და ობიექტურად გამოიძიოს 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მთავრობის სახლთან მომხდარი ამბის ყველა გარემოება. მთავრობის კომისიას, რომელიც მანამდე შეიქმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით, წინადადება მიეცა მის ხელთ არსებული ყველა მასალა გადასცეს ახლად შექმნილ კომისიას.

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამართალდამცავი ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კომუნისტ ხელმძღვანელებს დაევალათ გაუწიონ კომისიის წევრებს ყოველმხრივი დახმარება და ხელშეწყობა მუშაობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე და გ. პ. რაზუმოვსკი.

• • •

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიმართვა თბილისის მოქალაქეებისადმი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება თბილისში კომენდანტის საათის გაუქმების შესახებ ჩვენს გაზეთში გუშინ გამოქვეყნდა.

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის შექმნის შესახებ

**საქართველოს** სსრ კონსტიტუციის 119-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი მიღებული მიმართვისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარ გარემოებათა გამოსაკვლევად შეიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთაგან.

კომისიაში შევიდნენ: ალექსანდრე დიმიტრის ძე **ალექსიძე**, მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ელგუჯა დავითის ძე **ამაშუკელი**, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ზურაბ ივანეს ძე **ანჯაფარიძე**, რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თამაზ ვალერიანის ძე **გამყრელიძე**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, გივი სერგის ძე **გაჩეჩილაძე**, თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, იური ალექსანდრეს ძე **გოდუნოვი**, თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს" მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ნუგზარ ნიკოლოზის ძე **გოგოლაშვილი**, ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი, ქარხანა ელექტროგამშვების მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ვახტანგ პართენის ძე **ესვანჯია**, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მალხაზ მიხეილის ძე **ზაალიშვილი**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიის ნამდვილი წევრი, რევაზ შალვას ძე **თაბუკაშვილი**, კინოსტუდია „ქართული ფილმის" კინოდრამატურგთა შემოქმედებითი გაერთიანების სასცენარო გაერთიანების ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, ჯანსუღ ივანეს ძე **კახიძე**, კომპოზიტორი, თბილისის ოპერისა და ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თამარ ვასილის ასული **ლაშქარაშვილი**, საქართველოს ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თეიმურაზ ნიკოლოზის ძე **ლოლაძე**, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გრიგოლ დავითის ძე **ლორთქიფანიძე**, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პარმენ იორამის ძე **მარგველაშვილი**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, მუხრან ივანეს ძე **მაჭავარიანი**, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, ნოდარ მიხეილის ძე **მგალობლიშვილი**, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გიორგი შოთას ძე **მირიანაშვილი**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, არმენ ლევონის ძე **მირზოიანი**, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, შოთა ალექსანდრეს ძე **ნადირაშვილი**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნოდარ რევაზის ძე **ნათაძე**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბიძინა რაჟდენის ძე **ნანეიშვილი**, ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ემილ ალექსის ძე **სეხნიაშვილი**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გიორგი ოთარის ძე **ტალიაშვილი**, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკისა და ელექტრომექანიკის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი, გურამ ივანეს ძე **ფანჯიკიძე**, მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, თამაზ გრიგოლის ძე **შავგულიძე**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი, ელდარ ნიკოლოზის ძე **შენგელაია**, სსრ კავშირისა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირების გამგეობათა მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ჯანსუღ ავდილის ძე **ჩარკვიანი**, მწერალი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თემურ ნოდარის ძე **ჩხეიძე**, საქართველოს სატელევიზიო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რევაზ დავითის ძე **ჩხეიძე**, კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, რამაზ გრიგოლის ძე **ჩხიკვაძე**, თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სულხან თევდორეს ძე **ცინცაძე**, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ირაკლი ნიკოლოზის ძე **ციციშვილი**, პროფესორი, საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მიხეილ მიხეილის ძე **ხანანაშვილი**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ნიკოლოზ ზურაბის ძე **ჭავჭავაძე**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნინო ალექსანდრეს ასული **ჯავახიშვილი**, ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიის ნამდვილი წევრი, სერგი მანასეს ძე **ჯორბენაძე**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი.

# შეხვედრები, საუბრები, დიალოგები

17 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს ე. ა. შევარდნაძეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს გ. პ. რაზუმოვსკის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს გ. გ. გუმბარიძეს კვლავ ჰქონდათ შეხვედრები და საუბრები მშრომელთა კოლექტივებთან, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებთან, ინტელიგენციის და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

განიხილეს თბილისისა და საერთოდ რესპუბლიკის პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციასთან, კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის გზების ძიებასთან, კომენდანტის საათის გაუქმებისათვის საჭირო პირობების შექმნასთან დაკავშირებული ფართო წრის პრობლემები. აღინიშნა, რომ საჭიროა ყველგან და ყველაფერში წესრიგისა და დისციპლინის უზრუნველყოფა, საწარმოების, დაწესებულებების, სასწავლებლების, მუშაობის ნორმალური რიტმის აღდგენა, რომ ეს თითოეული თბილისელის, რესპუბლიკის ყოველი მცხოვრების საქმეა, ყველასა და თითოეულის საქმეა, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ხვალინდელი დღე. განსაკუთრებული სჯა-ბაასის საგანი იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა პარტიული კომიტეტების, სამეცნიერო და ტექნიკური ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოების მჭიდრო ურთიერთმოქმედება XIX საკავშირო პარტკონფერენციის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

ე. ა. შევარდნაძე შეხვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. გაიმართა დაინტერესებული დიალოგი იმის თაობაზე, რომ საჭიროა სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივი ძალისხმევა წესრიგის დასამყარებლად, ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად. გულახდილი, საქმიანი საფუძვლიანი სჯა-ბაასი გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომისა და მცხეთის რაიონული კომიტეტის აპარატების მუშაკებთან, საგურამოს საბჭოთა მეურნეობის მშრომელებთან გ. პ. რაზუმოვსკისა და გ. გ. გუმბარიძის შეხვედრების დროს, აღინიშნა, რომ ვითარების ნორმალიზაციაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნებათ სწორედ პარტიის რაიონულ რგოლებს, რომლებიც პირველადს ორგანიზაციებთან, შრომითს კოლექტივებთან მუშაობის შუაგულში არიან. იმაზე, რამდენად ოპერატიულად და თვისებრივად გარდაიქმნებიან ისინი, განაახლებენ თავიანთი საქმიანობის სტილს, ფორმებსა და მეთოდებს, რამდენად სწრაფად უკუაგდებენ ძველ დოგმატურ მიდგომებს, იმდენად სწრაფად მივლენ თითოეულთან, გაიკვალავენ გზას ადამიანთა გულებისაკენ. ეს კი ნიშნავს, რომ დაჩქარდება გარდაქმნის პარტიული კურსის განხორციელება, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს განახლება.

დიალოგების მონაწილეებმა ერთსულოვანი აზრი გამოთქვეს იმის შესახებ, რომ მთავრობის სახლთან დატრიალებული ტრაგედიის მასშტაბი და რეზონანსი განუზომელია. რომ მომხდარი ამბავი გარდაქმნისათვის ლახვარის ჩაცემაა. ამიტომაც პარტიულმა ორგანიზაციებმა ღრმად უნდა გააანალიზონ მომხდარი ამბავი და გაერკვნენ იმაში, თუ რამ განაპირობა ექსტრემალური სიტუაციის წარმოქმნა ქალაქში.

### ყვავილებით შეამკეს

**16 აპრილს** ამხანაგებმა ე. ა. შევარდნაძემ, გ. პ. რაზუმოვსკიმ და გ. გ. გუმბარიძემ ყვავილები მიიტანეს თბილისის მთავრობის სახლის წინ მოედანზე, სადაც 9 აპრილს ღამით დაიღუპნენ უდანაშაულო ადამიანები.

# ახალი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

## ბადმინტონი

### სათანრიგო მოთხოვნა ვაჟები და ქალები

**სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი:**

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში უნდა დაიკავოს 1-4 ადგილები ევროპის ჩემპიონატზე ან I-III ადგილები ევროპის ზონის შეჯიბრებაში თომასის თასზე (ვაჟები) ან უბერის თასზე 2 გამარჯვების პირობით;

გუნდის შემადგენლობაში დაიკავოს I ადგილი ევროპის ჩემპიონთა თასზე (ევროპის თასი);

ერთეულთა ან წყვილთა შეჯიბრებაში გავიდეს მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალში ან ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში;

ბადმინტონის საერთაშორისო ფედერაციის ან გრან-პრის ნებისმიერი სერიის ტურნირებში დაიკავოს I-II ადგილები.

**სსრ კავშირის სპორტის ოსტატი:**

სსრ კავშირის პირველობაში უნდა დაიკავოს I-III ადგილები, უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოზარდთა ნებისმიერი კატეგორიის საკავშირო თამაშებში; I-IV ადგილები ერთეულთა ან I-III ადგილები მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის, პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ და სპორტული საზოგადოების საკავშირო საბჭოს პროფკავშირთა და უწყებათა, უფროსი ასაკობრივი ჯგუფის ჭაბუკთა და გოგონათა ნებისმიერ ჩემპიონატებსა და სპარტაკიადებზე მოცემულ კატეგორიაში არანაკლებ 16 სპორტის ოსტატის მონაწილეობის პირობით.

I ადგილი მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის, პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურული და სპორტული საზოგადოების პროფკავშირებისა და უწყებათა უფროსი ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა ნებისმიერი კატეგორიის პირველობებსა და მოზარდთა თამაშებში არანაკლებ 8 სპორტის ოსტატის მონაწილეობის პირობით.

I-IX ადგილები ერთეულთა ან I-V ადგილები წყვილთა კატეგორიაში საკავშირო და ახალგაზრდულ თამაშებში. გუნდის შემადგენლობაში I-III ადგილები სსრ კავშირის ჩემპიონატში ან სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, ან I-II ადგილები სსრ კავშირის თასის გათამაშებაში;

შევიდეს ერთეულთა 20 საუკეთესოთა შორის ან 10 საუკეთესო წყვილს შორის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში.

მიაღწიოს რეიტინგისა და მისი წონის ჯამს — 100, ამასთან რეიტინგი არ უნდა იყოს 60-ზე ნაკლები.

**შენიშვნა.** 1. რეიტინგისა და მისი წონის გაანგარიშება ხდება სსრ კავშირის ბადმინტონის ფედერაციის მიერ შემუშავებულ და სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული მეთოდიკით.

2. რეიტინგი — ოსტატობის მიმდინარე დონის რიცხობრივი შეფასებაა, რომელიც გაანგარიშებულია სპორტსმენის გამარჯვებებისა და დამარცხებების საფუძველზე.

3. რეიტინგის წონა — სპორტსმენის საშეჯიბრებო აქტიურობის საზომი, რომელიც ითვალისწინებს შეჯიბრებებში მონაწილეობის რაოდენობას და მათ შორის შესვენებებს.

4. რეიტინგით სპორტის ოსტატის სათანრიგო მოთხოვნათა შესრულებისას გაითვალისწინება შედეგები შეჯიბრებებისა, რომელსაც ატარებს სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის, საკავშირო და რესპუბლიკური საბჭოები, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების პროფკავშირებისა და უწყებათა რესპუბლიკური სპორტული კლუბები და საკავშირო ტურნირებისა, რომლებიც ჩართულია სსრ კავშირის ბადმინტონის ფედერაციის მოცემული წლის კალენდარში.

**სპორტის ოსტატობის კანდიდატი:**

უნდა დაიკავოს I-V ადგილები ერთეულთა ან 1-III ადგილები წყვილთა კატეგორიაში სსრ კავშირის ჭაბუკთა და გოგონათა უმცროს ასაკობრივ ჯგუფში.

გუნდის შემადგენლობაში I-III ადგილები მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის ჩემპიონატსა და სპარტაკიადაში ან I ადგილი ამავე მასშტაბის თასის გათამაშებაში. წლის განმავლობაში სძლიოს სპორტის ოსტატობის 5 კანდიდატს და მოიპოვოს არა უმცირეს 6 გამარჯვებისა პირველთანრიგოსან სპორტსმენებთან.

**I თანრიგი:**

წლის განმავლობაში 6 გამარჯვება სხვადასხვა პირველთანრიგოსან მოთამაშესთან და არა უმცირეს 6 გამარჯვებისა სხვადასხვა მეორეთანრიგოსანთან ნებისმიერ კატეგორიაში.

**II თანრიგი:**

წლის განმავლობაში 4 გამარჯვება სხვადასხვა მეორეთანრიგოსანთან და არა უმცირეს 4 გამარჯვებისა სხვადასხვა მესამეთანრიგოსანთან ნებისმიერ კატეგორიაში (მათ შორის შემცირებული ხანგრძლივობის შეხვედრებში).

წლის განმავლობაში 4 გამარჯვება სხვადასხვა მესამეთანრიგოსან მოთამაშესთან და არა უმცირეს 4 გამარჯვებისა უთანრიგო სპორტსმენებთან, ნებისმიერ კატეგორიაში (მათ შორის შემოკლებული ხანგრძლივობის შეხვედრებში).

**მოზარდთა I თანრიგი:**

წლის განმავლობაში 4 გამარჯვება სხვადასხვა მოზარდ პირველთანრიგოსან მოთამაშეებთან და არა უმცირეს 4 გამარჯვებისა სხვადასხვა მოზარდ მეორეთანრიგოსან სპორტსმენებთან ნებისმიერ კატეგორიაში (მათ შორის შემოკლებული ხანგრძლივობის შეხვედრებში).

**მოზარდთა II თანრიგი:**

წლის განმავლობაში 4 გამარჯვება სხვადასხვა მოზარდ მეორეთანრიგოსან სპორტსმენთან და არა უმცირეს 4 გამარჯვებისა სხვადასხვა უთანრიგო სპორტსმენთან, ნებისმიერ კატეგორიაში (მათ შორის შემოკლებული ხანგრძლივობის შეხვედრებში).

**სათანრიგო მოთხოვნათა შესრულების პირობები:**

1. გუნდურ შეჯიბრებაში სათანრიგო მოთხოვნა ჩაეთვლებათ შესრულებულად სპორტსმენებს, რომლებიც მონაწილეობდნენ შეხვედრათა სულ ცოტა 75% და ჩატარებული შეხვედრების 60%-ში გაიმარჯვეს.

2. უფრო მაღალი თანრიგის სპორტსმენთან გამარჯვება ორს უტოლდება.

3. მომიჯნავე თანრიგოსანთაგან შედგენილი წყვილის თანრიგი უფრო მეტი კვალიფიკაციის მოთამაშის თანრიგს უტოლდება, ხოლო არა მომიჯნავე თანრიგოსანთა წყვილი მათ საშუალო თანრიგს.

4. ვადა — 1 წელი, რომელიც დადგენილია თანრიგის შესასრულებლად, აღირიცხება პირველი გამარჯვების დღიდან.

5. შემოკლებული ხანგრძლივობის შეჯიბრება ითვლება ერთპარტიან შეხვედრად და იგი ვაჟებსა და უფროსი ასაკის მოზარდთა შორის ტარდება 21 ქულამდე, დანარჩენთათვის 15 ქულამდე.

## თანამედროვე ხუთჭიდი

### სათანრიგო მოთხოვნები

სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი — მოიპოვოს:

I-VI ადგილები პირად ან I-III გუნდურ შეჯიბრებაში ოლიმპიურ თამაშებში;

I-V ადგილები პირად ან I-III ადგილები გუნდურ პირველობაში მსოფლიო პირველობაზე;

I-III ადგილები პირად ან I ადგილი გუნდურ პირველობაში ევროპის ჩემპიონატზე;

I-III ადგილები „ა" კატეგორიის საერთაშორისო შეჯიბრებაში იმ პირობით, რომ სპორტსმენმა დაიკავა I-V ადგილები (სსრ კავშირის პირველობაზე).

„ა" კატეგორიის საერთაშორისო შეჯიბრებაში მოიპოვოს I-III ადგილები და დააგროვოს 5450 ქულა.

I ადგილი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაში, სსრ კავშირის ჩემპიონატში, სსრ კავშირის თასზე; I ადგილი იუნიორთა მსოფლიო პირველობის პირად შეჯიბრებაში; I ადგილი პირად პირველობაში და დააგროვოს 5500 ქულა სსრ კავშირის პირველობაზე დახურულ შენობაში;

შევიდეს „ა" კატეგორიის საერთაშორისო შეჯიბრებაში I ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში იმ პირობით, რომ გუნდმა დააგროვა 16.000 ქულა.

სსრ კავშირის სპორტის ოსტატი — დაიკავოს:

I-XVI ადგილები სსრ კავშირის ჩემპიონატში ან II-X ადგილები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე.

I-XII ადგილები სსრ კავშირის თასის გათამაშებაში;

I-III ადგილები სსრ კავშირის იუნიორთა პირად პირველობაზე.

არა უმდაბლეს XVI ადგილისა ღია საკავშირო შეჯიბრებებში ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე ან არა უმდაბლეს XII ადგილისა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა ღია პირველობებზე იმ პირობით, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობდა არა ნაკლებ 30 სპორტსმენისა და სულ ცოტა 12 სპორტის ოსტატმა დაამთავრა შეჯიბრება, ამასთან 6 მათგანმა დაიმტკიცა სპორტის ოსტატობის ნორმატივი და დააგროვა 5200 ან 5300 ქულა დახურულ შენობაში.

**სპორტის ოსტატობის კანდიდატი:**

დააგროვოს 4750 ქულა არა უმცირეს საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებაში იმ პირობით, რომ ასპარეზობაში მონაწილეობდა არა ნაკლებ 25 სპორტსმენისა და შეჯიბრება დაამთავრა სულ ცოტა 10 სპორტის ოსტატობის კანდიდატმა და პირველთანრიგოსანმა.

**I თანრიგი:**

დააგროვოს 4200 ქულა არა უმცირეს საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებაში.

**II თანრიგი:**

დააგროვოს 3700 ქულა ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში.

**III თანრიგი:**
დააგროვოს 3400 ქულა ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში.
მოზარდთა I თანრიგი:
დააგროვოს 2900 ქულა ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში.

**ქალები**

სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი — დაიკავოს: I-V ადგილები პირად შეჯიბრებაში, I-III ადგილები გუნდურ შეჯიბრებაში მსოფლიო პირველობაზე;

I-III ადგილები და დააგროვოს 5250 ქულა „ა" კატეგორიის საერთაშორისო შეჯიბრებაში.

სსრ კავშირის სპორტის ოსტატი — დაიკავოს:

I-VI ადგილები სსრ კავშირის ჩემპიონატში;

VII-X ადგილები და დააგროვოს 5100 ქულა სსრ კავშირის ჩემპიონატში სულ ცოტა 30 სპორტსმენის მონაწილეობით;

I-III ადგილები საკავშირო შეჯიბრებაში;

IV-VI ადგილები და დააგროვოს 5100 ქულა საკავშირო შეჯიბრებაში სულ ცოტა 30 სპორტსმენის მონაწილეობით.

I-II ადგილები სსრ კავშირის თასზე;

IV-X ადგილები და დააგროვოს 5200 ქულა სსრ კავშირის თასის შეჯიბრებაში;

I-III ადგილები სსრ კავშირის უძლიერეს სპორტსმენთა შეჯიბრებაში;

IV-VIII ადგილები და დააგროვოს 5200 ქულა სსრ კავშირის უძლიერეს სპორტსმენთა ტურნირებში;

I ადგილი და დააგროვოს არა ნაკლებ 5200 ქულისა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების, საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის, „დინამოს" ღია პირველობებში, მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის ჩემპიონატებზე არა ნაკლებ 3 მოკავშირე რესპუბლიკის გუნდის მონაწილეობით.

**სპორტის ოსტატობის კანდიდატი:**

დააგროვოს 4700 ქულა არა უმცირეს რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებაში პირობით, რომ იგი დაამთავრა სულ ცოტა 8 პირველთანრიგოსანმა სპორტსმენმა.

**I თანრიგი:**
დააგროვოს 4300 ქულა არა უმცირეს საოლქო და საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებაში;
**II თანრიგი:**
დააგროვოს 3700 ქულა ნებისმიერ მასშტაბის შეჯიბრებაში;
**III თანრიგი:**
დააგროვოს 3200 ქულა ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში;
მოზარდთა I თანრიგი:
დააგროვოს 3000 ქულა ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში;

## თანამედროვე ოთხჭიდი

### მოზარდები

**I თანრიგი:**

დააგროვოს 3500 ქულა არა უმცირეს საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებაში;
**II თანრიგი:**
დააგროვოს 3100 ქულა ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში;
**III თანრიგი:**
დააგროვოს 2700 ქულა ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში;
მოზარდთა I თანრიგი:
დააგროვოს 2500 ქულა ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში;

**გოგოები**

**I თანრიგი:**
დააგროვოს 3200 ქულა არა უმცირეს საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებაში;
**II თანრიგი:**
დააგროვოს 3000 ქულა ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში;
**III თანრიგი:**
დააგროვოს 2800 ქულა ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში;
მოზარდთა I თანრიგი:
დააგროვოს 2600 ქულა ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში;

## თანამედროვე სამჭიდი

### ჭაბუკები და გოგოები

**I თანრიგი:**

დააგროვოს 2600 ქულა არა უმცირეს საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებაში;

**II თანრიგი:**
დააგროვოს 2400 ქულა ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში;

**III თანრიგი:**
დააგროვოს 2100 ქულა ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში;

მოზარდთა I თანრიგი:

დააგროვოს 1900 ქულა ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში;

**სათანრიგო მოთხოვნათა პირობები**

1. ყველა სათანრიგო, გარდა მოზარდებისა, შედეგები შეჯიბრებებში ფასდება თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირის (უიბმბ) ცხრილით.

2. შედეგების შეფასება მოზარდთა თანრიგის შესასრულებლად: ცურვა — 1000 ქულა ერიცხება შედეგისათვის 1.30,0 100 მეტრზე, ყოველი მეათედი წამისათვის — უკეთესი (უარესი) ემატება (აკლდება) 2 ქულა; რბენა—1000 ქულა ერიცხება 2.40,0 800 მეტრზე. ყოველი მეათედი წამისათვის — უკეთესი (უარესი) ემატება (აკლდება) 2 ქულა;

3. II და III თანრიგის შესასრულებლად ნებადართულია სილუეტზე სროლა შეიცვალოს მრგვალ სამიზნეზე სროლით, ხოლო მოზარდთა თანრიგოსნისათვის პისტოლეტის სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლელა 25 მეტრზე № 6-3 სასინჯ და 20 ჩასათვლელი სროლით.

4. ოთხჭიდში შეჯიბრებაზე აუცილებელი სახეობებია ცურვა და რბენა.

5. სამჭიდში შეჯიბრებაზე შეიძლება ჩართული იყოს: სროლა, ფარიკაობა, ცურვა ან ფარიკაობა, ცურვა, რბენა.

6. ხუთჭიდში სპორტის ოსტატის წოდება ენიჭებათ ვაჟებს 18 წლიდან, ქალებს — 17 წლიდან.

7. ხუთჭიდში მოზარდთა თანრიგი ენიჭებათ 15 წლიდან, ოთხჭიდსა და სამჭიდში — 14 წლიდან.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" № 75.

# ორნი — საქართველოდან

**შალონ-სიურ-სონი** (საფრანგეთი). ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის როჟე კულონის მემორიალი ერთ-ერთი პოპულარული ტურნირია თავისუფალი სტილის ათლეტთა კალენდარში. წლევანდელ ასპარეზობაში საბჭოთა სპორტსმენებმა გუნდური გამარჯვება მოიპოვეს —32 ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ გფრ-ის (29 ქულა) და ბულგარეთის (17 ქულა) წარმომადგენლები.

საბჭოთა მოჭიდავეთაგან გამარჯვება ცალკეულ წონით კატეგორიაში მოიპოვეს: სოხუმელმა ეგია მუსოიანმა (57 კგ), თბილისელმა გოჩა მაკოევმა (62 კგ), კრასნოიარსკელმა აბდულა მაჰომედოვმა (74) და მახაჩყალელმა ელმადი ჟაბრაილოვმა (82 კგ).

# ერთი ნაბიჯი დარჩა

**მინსკი** (18 აპრილი. ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.). ბელორუსიის დედაქალაქში დასასრულს მიუახლოვდა 18 და 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირი, რომელმაც თითოეული ასაკობრივი ჯგუფიდან თითო კანდიდატი უნდა შეარჩიოს ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრებისთვის. ბოლოსწინა ტურში ცენტრალური იყო ჩემი და კორკინას შეხვედრა. გათამაშდა ჩიგორინის დაცვა, იერიში მივიტანე მეტოქის გვირგვინოსანზე, ერთ მომენტში ფიგურა შევწირე, ხოლო როცა პოზიცია „გავხსენი", ფორსირებული ვარიანტის საშუალებით ეტლი მოვიგე. 30-ე სვლაზე მეტოქემ საათი გააჩერა.

ჯანჯღავა შავი ფიგურებით კიბრიკს შეხვდა. სიცილიურ დაცვაში ნათიამ თანდათან გაათანაბრა პოზიცია, მალე კი უპირატესობასაც დაეუფლა. შემდეგ ტაქტიკური დარტყმით ჯერ პაიკი მოუგო მეტოქეს, მერე — ფიგურა. კიბრიკს ისღა დარჩენოდა, საათი გაეჩერებინა.

ტურნირის ერთ-ერთმა ლიდერმა მატვეევამ ნახევარი ქულა დაკარგა დომარკაიტესთან ორთაბრძოლაში.

ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: იურევა-შური — 1:0, ლაგვილავა—ველიხანლი 0:1, ტერელაძე—ბელაკოვსკაია 0:1. გადაიდო სოფიევა—ლაესონის პარტია.

ბოლო ტურის წინ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: კახიანი — 10 ქულა, მატვეევა — 9, ჯანჯღავა—8, ბელაკოვსკაია—7,5, კორკინა, ველიხანლი — 7-7, სოფიევა — 6,5 (1), ლაესონი — 5,5 (1), ლაგვილავა — 5,5, იურევა, დომარკაიტე — 4,5-4,5, ტერელაძე — 3, შური, კიბრიკი — 2,5-2,5.

ბოლო ტურში, რომელიც ხვალ გაიმართება, ყურადღებას იპყრობს ნათია ჯანჯღავასა და სვეტლანა მატვეევას, ტულიკი ლაესონისა და ჩემი, სვეტლანა კორკინასა და ჰენრიეტა ლაგვილავას შეხვედრები. შეგახსენებთ, რომ მე და მატვეევა 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობის საგზურისთვის ვიბრძვით, ჯანჯღავა და კორკინა კი 18 წლამდე ასაკის გოგონებში საუკეთესო შედეგისთვის. როგორც ხედავთ, მეც და ნათიასაც თითო ნაბიჯი დაგვრჩა მიზნის მისაღწევად. მაგრამ ეს უკანასკნელი ჯებირი, დამეთანხმებით, არცთუ ისე იოლი გადასალახია. თუ ჯანჯღავასა და მე ყაიმებიც გვყოფნის, მატვეევამ და კორკინამ აუცილებლად მოგებისთვის უნდა იზრუნონ.

რაც შეეხება 16 წლამდე ასაკის გოგონათა შეჯიბრებას, იგი უკვე დამთავრდა. ბოლო ტურში ცენტრალური იყო სოფიკო ნიკოლაძისა და ირინა ზაკის პარტია, რომელიც ქართველი მოჭადრაკის გამარჯვებით დამთავრდა. სოფიკომ 5,5 ქულა მოაგროვა და დაეწია ზაკს. შემდეგი ადგილები ასე განაწილდა: ლევიტანი, კოვალევსკაია — 5-5, იაშჩენკო, აგაევა — 4,5-4,5.

რაც შეეხება I ადგილს, რომელმაც მსოფლიო პირველობის ერთადერთი საგზურის მფლობელი უნდა დაასახელოს, მას ალბათ ჩვენი თანამემამულე დაიკავებს, რადგანაც დამატებითი კოეფიციენტები ნიკოლაძეს უკეთესი აქვს.

**ქეთევან კახიანი,**
საერთაშორისო ოსტატი.

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

გთავაზობთ სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის VII ტურის შეხვედრათა სტატისტიკურ მონაცემებს.

**„ტორპედო" — „დნეპრი" 2:2 (2:1).** გოლები: ი. სავიჩევი, გიცელოვი („ტორპედო"), შახოვი, სონი („დნეპრი").

გააფრთხილეს დნეპროპეტროვსკელი ფეხბურთელი ჩერვონი.

დუბლიორები — 2:0.

**„დინამო" (კიევი) — „სპარტაკი" 1:4 (0:1).** გოლები: შმაროვი, მოსტოვოი, როდიონოვი-2 („სპარტაკი"), ლიტოვჩენკო („დინამო").

დუბლიორები — 3:0.

**„მეტალისტი" — „ჩერნომორეცი" 2:1 (1:1).** გოლები: ტარასოვი, ესიპოვი („მეტალისტი"), შჩერბაკოვი („ჩერნომორეცი").

გააფრთხილეს ოდესელი იმრეკოვი.

დუბლიორები — 3:1.

**„ლოკომოტივი" — „არარატი" 1:0 (1:0).** გოლი: რუსიაევი.

გააფრთხილეს „ლოკომოტივის" ფეხბურთელები გალაკბეროვი და რუსიაევი.

დუბლიორები — 1:1.

**„ზენიტი" — „პამირი" 1:0 (0:0).** გოლი: რადჩენკო („ზენიტი").

დუბლიორები — 4:0.

**„დინამო" (მინსკი) — „შახტიორი" 1:1 (1:0).** გოლები: შალიმო („დინამო"), სვისტუნი („შახტიორი").

გააფრთხილეს მინსკელი მეტლიცკი და დონეცკელი ლეონოვი.

დუბლიორები — 0:0.

**„როტორი" — „დინამო" (მოსკოვი) 2:0 (1:0).** გოლები: ხომუტეცკი, ბორისოვი.

გააფრთხილეს ვოლგოგრადელი სტოგოვი და დინამოელი ჩერნიშოვი.

დუბლიორები — 1:0.

**„ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „დინამო" (თბილისი) 1:0 (1:0).**

**ვილნიუსი. „ჟალგირისის" ცენტრალური სტადიონი. 15 აპრილი.** მსაჯი ვ. ფილიპოვი. გოლი მე-18 წუთზე გაიტანა ბარანაუსკასმა. დუბლიორები — 4:0.

**„ჟალგირისი":** მარტინკენასი, ფრიდრიკასი (კვილიუნასი, 46, მაჟეიკისი, 85), სუკრისტოვი, ბალტიშნუკასი, იანონისი, ტაუტკუსი, ბარანაუსკასი, ივანაუსკასი, იაკუბაუსკასი, რახიუკასი, კვიტკაუსკასი.

**„დინამო":** გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, პედია, კაპარავა, თედეევი, ჭიშკარიანი, ცვეიბა, ცაავა, ფანცულაია, გოგიჩაიშვილი.

ვილნიუსელმა ფეხბურთელებმა თამაში დაიწყეს სწრაფად, მწვავედ, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ივანაუსკასი, ბარანაუსკასი, რომლებიც ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მეტოქის კართან. რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა მეკარე გაბელიას. „ჟალგირისის" ერთ-ერთი შეტევა ზუსტი თავური დარტყმით დაამთავრა ბარანაუსკასმა — 1:0.

შესვენების შემდეგ დინამოელები გაცილებით უფრო ენერგიულად და მონდომებით იბრძოდნენ, კარგა ხანს ფლობდნენ ინიციატივას და საპასუხო ბურთის გატანის არაერთი შესაძლებლობაც ჰქონდათ, კერძოდ, ერთ-ერთ მომენტში ფანცულაია სრულიად ღიად აღმოჩნდა მასპინძელთა კარის წინ, მაგრამ ვერ გამოიყენა ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა.

ამ მატჩში იყო ასეთი ეპიზოდი: 65-ე წუთზე გაბელიასთან პირისპირ გავიდა ბარანაუსკასი, შეტაკების შედეგად ორივე ფეხბურთელი დაეცა, არბიტრმა ვ. ფილიპოვმა 11-მეტრიანზე მიუთითა. დინამოელებმა მსაჯის გადაწყვეტილება არასწორად ჩათვალეს და მოითხოვეს მისი შეცვლა. მსაჯი ფეხბურთელებს დაეთანხმა. მატჩის ინსპექტორმა საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ვ. ტოლჩინსკიმ (ალმაათა) ვ. ფილიპოვს შეფასება 4 დაუწერა, გვერდითმა მსაჯებმა ვ. კოჟუხანცევმა და ა. კარტავცევმა ხუთიანები დაიმსახურეს.

● **სენსაციური** შედეგით დამთავრდა მატჩი კიევში ადგილობრივ „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკს" შორის. მაგრამ ამ მატჩის შედეგს სენსაციურს ვერ ვუწოდებთ, გასაკვირი აქ მხოლოდ ანგარიშია — 1:4. ვინც თვალს ადევნებს კიევის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" ბოლო წლების შეხვედრებს, იოლად შეამჩნევს, რომ ამ პერიოდში სპარტაკელებს აშკარა უპირატესობა აქვთ კიეველებთან მატჩებში, თუმცა, კიევის „დინამო" იყო და რჩება ჩვენი ფეხბურთის უმთავრეს ფავორიტად. ბოლო მოგება კიეველებს „სპარტაკთან" 1986 წლის ჩემპიონატის პირველ წრეში აქვთ მოპოვებული — 2:1, მეორე წრეში კი გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 1:0. 1987 წელს „სპარტაკმა" კიეველებთან ერთი შეხვედრა ფრედ დაამთავრა (0:0), ერთი კი მოიგო (1:0). შარშანდელ ჩემპიონატში სპარტაკელებმა ორივე წრეში დაამარცხეს კიევის „დინამო" — 2:1 და 1:0. აი, ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ მოსკოველებმა დიდი აღმავლობით, მონდომებითა და ენერგიით ითამაშეს კიევში, ისინი ყველაფერში ჯობდნენ მასპინძლებს, ამიტომაც ეს ანგარიში 4:1 არც მოულოდნელად შეიძლება მივიჩნიოთ და არც სენსაციურად. ძალთა შეფარდება მინდორზე ამ დღეს აშკარად „სპარტაკის" სასარგებლოდ ვითარდებოდა.

● **მიმდინარე** ჩემპიონატის VII ტურში პირველი მარცხი განიცადეს კიევისა და თბილისის დინამოელებმა. ერთადერთი გუნდი, რომელიც ჯერჯერობით წაუგებლად გამოდის, არის მოსკოვის „სპარტაკი".

● **თბილისის** „დინამოს" შეხვედრა ვილნიუსის „ჟალგირისთან" თბილისელთათვის, 1400-ე იყო საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში.

● **ბომბარდირთა** დავაში ლიდერობს მოსკოვის „სპარტაკის" თავდამსხმელი ს. როდიონოვი, რომელმაც 7 ბურთი გაიტანა. შემდეგ მოდიან კიეველი ლიტოვჩენკო — 5, ოდესელი კონდრატიევი და სპარტაკელი შმაროვი — 4-4.

● **განვლილ** ტურში დაინიშნა 4 პენალტი, რომელთაგან 3 მასპინძელთა სასარგებლოდ იყო. ამ 11-მეტრიანებიდან ვოლგოგრადის „როტორის" მეკარემ კლეიმანოვმა შეძლო ა. ბოროდიუკის დარტყმის მოგერიება მოსკოვის „დინამოსთან" მატჩში.

● **არსებობს** გაერთიანება „ელექსი", მან რეიტინგის გამოანგარიშების ახალი მეთოდი შეიმუშავა სპორტული გუნდებისთვის, აქ მხედველობაში მიღებულია შეხვედრათა რაოდენობა, ჩატარებული მატჩების რიცხვი, თამაშის ჩატარების ადგილი და ა. შ.

ყველა ამ გამოანგარიშების შედეგად სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის რეიტინგი მე-7 ტურის შემდეგ ასეთია: „სპარტაკი" — 2611, „დინამო" (კიევი) — 1437, „დნეპრი" — 1259, „ტორპედო" — 1060, „დინამო" (მინსკი) — 998, „ჟალგირისი" — 957, „დინამო" (თბილისი) — 920, „მეტალისტი" — 878, „არარატი" — 876, „ზენიტი" — 870, „დინამო" (მოსკოვი) — 824, „შახტიორი" —793, „ჩერნომორეცი" — 750, „როტორი" — 673, „ლოკომოტივი" — 620, „პამირი" — 471.

●●●

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის VIII ტურის პირველი მატჩი ადგილობრივ გუნდებს „ტორპედოსა" და „დინამოს" შორის.

თამაში დამთავრდა ანგარიშით 3:2 ტორპედოელთა გამარჯვებით.

### გათამაშების ცხრილი

**დუბლიორთა შემადგენლობა**

**მდგომარეობა 19 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" | 8 | 5 | 2 | 1 | 13-8 | 12 |
| „დნეპრი" | 7 | 5 | 1 | 1 | 10-6 | 11 |
| „სპარტაკი" | 7 | 5 | 0 | 2 | 14-6 | 10 |
| „დინამო" კ. | 7 | 4 | 2 | 1 | 11-4 | 10 |
| „არარატი" | 7 | 4 | 2 | 1 | 7-5 | 10 |
| „ჟალგირისი" | 7 | 4 | 0 | 3 | 14-7 | 8 |
| „დინამო" მნ. | 7 | 3 | 1 | 3 | 14-10 | 7 |
| „ლოკომოტივი" | 7 | 3 | 1 | 3 | 12-10 | 7 |
| „დინამო" მ. | 7 | 3 | 1 | 3 | 14-13 | 7 |
| „შახტიორი" | 7 | 3 | 1 | 3 | 5-9 | 7 |
| „დინამო" თბ. | 7 | 2 | 2 | 3 | 10-12 | 6 |
| „მეტალისტი" | 7 | 2 | 1 | 4 | 11-14 | 5 |
| „ზენიტი" | 6 | 2 | 0 | 4 | 13-11 | 4 |
| „როტორი" | 7 | 1 | 2 | 4 | 2-10 | 4 |
| „ჩერნომორ." | 7 | 1 | 1 | 5 | 10-19 | 3 |
| „პამირი" | 7 | 0 | 1 | 6 | 4-20 | 1 |

## I ლიგა

გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების III ტურის ბოლო ორი მატჩი.

ბათუმის დინამოელები მოსკოვში შეხვდნენ ცსკა-ს და დამარცხდნენ ანგარიშით 0:5.

კრასნოდარის „ყუბანმა" კემეროვოში ანგარიშით 1:0 მოუგო ადგილობრივ „კუზბასს".

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 19 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 3 | 3 | 0 | 0 | 9-0 | 6 |
| „ნისტრუ" | 3 | 3 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| ასკ რ. | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 4 |
| „მეტალურგი" | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 4 |
| „ყუბანი" | 3 | 2 | 0 | 1 | 2-2 | 4 |
| „ფაკელი" | 3 | 1 | 2 | 0 | 2-0 | 4 |
| „კაირატი" | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 4 |
| „ფახთაქორი" | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 4 |
| „დინამო" სტ. | 3 | 1 | 2 | 0 | 1-0 | 4 |
| „კოტაიკი" | 3 | 1 | 1 | 1 | 4-1 | 3 |
| „ტავრია" | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 3 |
| „ნეფთჩი" | 3 | 1 | 1 | 1 | 1-3 | 3 |
| „შინიკი" | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 2 |
| „სპარტაკი" | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| „კუზბასი" | 3 | 0 | 2 | 1 | 0-1 | 2 |
| „როსტსელმაში" | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| „დაუგავა" | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |
| „დინამო" ბ. | 2 | 0 | 1 | 1 | 0-5 | 1 |
| „გეოლოგი" | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| „გურია" | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| ასკ „კარპატი" | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |
| „ტორპედო" | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |

## საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, მეორე ტურის შეხვედრები:

**„მადაროელი" (ჭიათურა) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 2:0. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლები: გოგსაძე, ტეფნაძე („მადაროელი").

**„სქური" (წალენჯიხა) — „სიონი" (ბოლნისი) 1:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლი: კვარაცხელია („სქური").

დროის განზრახ გაყვანისთვის გააფრთხილეს გ. სალია („სქური").

**„ბახტრიონი" (ახმეტა) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 0:4. მსაჯი ზ. დარჩია (თბილისი).** გოლები: დოგუზოვი, ჯიოევი, რომელაშვილი, მ. სანაკოევი („სპარტაკი").

**„საპოვნელა" (თერჯოლა) — „ივერია" (ხაშური) 2:1. მსაჯი თ. კურტანიძე (თბილისი).** გოლები: ხვარეშია, ლილუაშვილი („საპოვნელა"), ქიმერიძე („ივერია").

**„არაგვი" (დუშეთი) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:4. მსაჯი ვ. ალიევი (თბილისი).** გოლები: სართანია, ჯაკონია, აფაქიძე, მისაბიშვილი („დინამო"), ხოსროშვილი („არაგვი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს გ. კვიტეტიანი, ხოლო სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის — ზ. აფაქიძე (ორივე — „დინამო").

**„მზიური" (გალი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:0. მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი).** გოლები: ვეკუა, ჩხეტია („მზიური").

### მეორე ჯგუფი

#### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„კახეთი" (თელავი) — „გარისი" (თეთრი წყარო) 2:0, სსი-(მუხრანი) — „ქიზიყი" (სიღნაღი) 8:0, „მეტალისტი" (რუსთავი) — „განთიადი" (დმანისი) 4:0, „თრიალეთი" (წალკა) — „შირაქი" (წითელწყარო) 1:0, „ალგეთი" (მარნეული) — „სპორტინტერნატი" (თბილისი) 3:0, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 2:0.

#### ცენტრალური ქვეჯგუფი

„საირმე" (მაიაკოვსკი) — „ფარვანა" (ბოგდანოვკა) 3:0. „განთიადი" (კასპი) — „რაჭა" (ამბროლაური) 4:0, „აბული" (ახალქალაქი) — „მამისონი" (ონი) 1:2.

#### დასავლეთი ქვეჯგუფი

„სალხინო" (გეგეჭკორი) — „ბეთლემი" (ქედა) 0:0, „ეგრისი" (ცხაკაია) — „მენავთობე" (ბათუმი) 2:1, „იმერეთი" (წულუკიძე) — „ზანა" (აბაშა) 1:0, „დარჩელი" (ზუგდიდი) — „მშენებელი" (ჭიათურა) 5:0, „დვაბზუ" (მახარაძე) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) 3:2.

## ● ფეხბურთი

### საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

#### ბელგია

**27-ე და 28-ე ტურები.** „ბევერენი" — „ლიეჟი" 0:0, „ანტვერპენი" — „სენტ ტრუდენი" 0:1, „მეჰელენი" — „ანდერლეხტი" 1:2, „გენკი" — „შარლერუა" 0:2, „სერკლი" — „კორტრიკი" 2:0, „სტანდარდი" — „ლოკერენი" 2:0, „ვარეგემი" — „ბრიუგე" 4:2, „ლიერსი" — „რესინგი" 0:1, „მოლენბეკი" — „ბეერსკოტი" 3:0, „ლოკერენი" — „ვარეგემი" 2:1, „ლიეჟი" — „სტანდარდი" 1:0, „კორტრიკი" — „ბევერენი" 1:1, „შარლერუა" — „სერკლი" 1:2, „ბეერსკოტი" — „გენკი" 4:2, „რესინგი" — „მოლენბეკი" 2:0, „სენტ ტრუდენი" — „მეჰელენი" 0:0, „ბრიუგე" — „ანტვერპენი" 3:1, „ანდერლეხტი" — „ლიერსი" 4:2, „ლიეჟი" — „ვარეგემი" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მეჰელენი" | 28 | 54-14 | 48 |
| „ანდერლეხტი" | 28 | 69-30 | 42 |
| „ლიეჟი" | 28 | 51-19 | 37 |

#### ინგლისი

**32-ე ტური.** „ასტონ ვილა" — „ლუტონი" 2:1, „ჩარლტონი" — „მიდლსბრო" 2:0, „დერბი" — „ქოვენთრი" 1:0, „ევერტონი" — „ქუინს პარკი" 4:1, „მანჩესტერი" — „არსენალი" 1:1, „ნორვიჩი" — „ლივერპული" 0:1, „შეფილდი" — „მილუოლი" 3:0, „საუთჰემპტონი" — „ნიუკასლი" 1:0, „ტოტენჰემი" — „ვესთ ჰემი" 3:0, „უიმბლდონი" — „ნოტინგემი" 4:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „არსენალი" | 31 | 59-32 | 60 |
| „ლივერპული" | 30 | 48-23 | 57 |
| „ნორვიჩი" | 30 | 42-31 | 56 |

#### საბერძნეთი

**26-ე ტური.** „პანათინაიკოსი" — ოფი (კრეტა) 1:1, აეკი — „ლარისა" 3:3, „დიაგორასი" — „აპოლონი" 1:1, „კალამარია" — „არისი" 1:2, „პაოკი" — „ლევადიაკოსი" 2:0, „ვოლოსი" — „ირაკლისი" 0:0, „დოქსა" — „ოლიმპიაკოსი" 0:0, „პანიონისი" — „ეთნიკოსი" 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| აეკი | 26 | 42-18 | 39 |
| „ოლიმპიაკოსი" | 26 | 44-21 | 36 |
| „პანათინაიკოსი" | 26 | 40-22 | 32 |

#### თურქეთი

**29-ე ტური.** „სამსუნი" — „კაჰრიმანი" 0:3, „დემირსპორი" — „ალთაი" 0:2, „კარსიაკა" — „ადანსპორი" 1:0, „ტრაბზონსპორი" — „სარისპორი" 1:0, „ანკარაგიუჯუ" — „კონიასპორი" 2:0, „ზაქარიასპორი" — „ბოლუსპორი" 1:0, „გალათასარაი" — „რიზესპორი" 2:0, „ესკიშეჰირსპორი" — „ფენერბახჩე" 2:7, „ბეშიქთაში" — „ბურსასპორი" 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფენერბახჩე" | 28 | 80-20 | 71 |
| „ბეშიქთაში" | 28 | 68-16 | 69 |
| „სარისპორი" | 28 | 54-32 | 55 |

#### პორტუგალია

**32-ე ტური.** „ესპინიო" — „პენაფიელი" 1:1, „გიმარაეში" — „ბოავიშტა" 2:3, „პორტიმონენსე" — „სპორტინგი" 3:1, „ვისეუ" — „ამადორა" 2:2, „ფუნშალი" — „სეტუბალი" 0:1, „ფარენზე" — „მადეირა" 5:0, „ბელენენსეში" — „შავიში" 4:2, „ბენფიკა" — „ბრაგა" 1:0, „პორტო" — „ბეირა მარი" 2:0, „ლეიქსოეში" — „ფაფე" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 32 | 48-10 | 53 |
| „პორტო" | 32 | 44-14 | 47 |
| „ბოავიშტა" | 32 | 47-24 | 42 |

#### გდრ

**მე-19 ტური.** „კარლ-მარქს-შტადტი" — „შტალი" 2:2, „მაგდებურგი" — „დინამო" (ბერლინი) 2:2, „როტ ვაისი" — „ლოკომოტივი" 2:1, „უნიონი" — „ენერგია" 1:0, „ვისმუტი" — „კარლ ცეისი" 2:0, „ჰემი" — „ჰანზა" 1:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დინამო" (დრეზ.) | 19 | 49-20 | 31 |
| „ჰანზა" (როსტოკი) | 18 | 27-17 | 24 |
| „დინამო" (ბერ.) | 18 | 38-23 | 22 |

#### ავსტრია

**25-ე ტური.** „რაპიდი" — „ავსტრია" 0:0, „სენტ პოლტენი" — „გრაცერი" 0:1, „ვინერ სკ" — „ადმირა" 6:2, „ტიროლი" — „ვიენა" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ტიროლი" | 25 | 54-26 | 22 |
| „ავსტრია" | 25 | 55-29 | 17 |
| „რაპიდი" | 25 | 44-26 | 17 |

#### შვეიცარია

**ფინალური ტური.** „ბელინცონა" — „გრასჰოპერსი" 0:0, „სიონი" — „ლუცერნი" 1:1, „ვეტინგენი" — „ქსამაქსი" 1:2, „იანგ ბოისი" — „სერვეტი" 7:0.

| | |
|---|---|
| „ლუცერნი" | 18 ქულა |
| „ბელინცონა" | 16 |
| „სიონი" | 16 |

#### შოტლანდია

**30-ე ტური.** „აბერდინი" — „დანდი იუნაიტედი" 1:0, „სელტიკი" — „რეინჯერსი" 1:2, „დანდი" — „სენტ მირენი" 2:1, „ჰართსი" — „ჰიბერნიანი" 2:1, „მოზერეული" — „ჰამილტონი" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეინჯერსი" | 30 | 51-22 | 46 |
| „აბერდინი" | 30 | 43-23 | 42 |
| „სელტიკი" | 30 | 60-39 | 38 |

#### იუგოსლავია

**23-ე ტური.** „ბუდუჩნოსტი" — „ვოივოდინა" 1:0, „ველეჟი" — „ტუზლა" 2:0, „ცრვენა ზვეზდა" — „სუბოტიცა" 2:0, „კრუშევაცი" — „სარაევო" 4:0, „დინამო" — „ჰაიდუკი" 1:0, „ვარდარი" — „ცელიკი" 6:1, „ოსიეკი" — „პარტიზანი" 2:1, „ჟელეზნიჩარი" — „რიეკა" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ვოივ." (ნოვი სადი) | 23 | 32-22 | 29 |
| „რადნიჩკი" (ბელ.) | 23 | 32-20 | 26 |
| „დინამო" (ზაგრები) | 23 | 33-23 | 25 |

#### ჩეხოსლოვაკია

**22-ე ტური.** „ბოჰემიანსი" — „ბანიკი" 3:1, „ნიტრა"—„სპარტა" 1:0, „დუნაისკა სტრედა" — „შკოდა" 2:1, „ვიტკოვიცე" — „ინტერი" 6:1, „სლოვანი" — „ტრნავა" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სპარტა" (პრაღა) | 22 | 55-19 | 33 |
| „ბანიკი" (ოსტრავა) | 22 | 33-20 | 30 |
| „პლასტიკა" (ნიტ.) | 22 | 29-28 | 26 |

#### ბულგარეთი

**21-ე ტური.** „ბლაგოევგრადი" — „სლივენი" 1:0, „ბოტევი" — „პერნიკი" 2:1, „სპარტაკი" — „ტირნოვო" 2:1, „ორიახოვიცა" — „ჩერნომორეცი" 1:0, „სლავია" — „ლოკომოტივი" (პლოვდივი) 3:0, „თრაკია" — „სტარა ზაგორა" 1:1, „რუსე" — „ლოკომოტივი" (სოფია) 2:1, „სრედეცი" — „ვიტოშა" 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სრედეცი" | 20 | 64-16 | 35 |
| „ვიტოშა" | 21 | 39-27 | 26 |
| „თრაკია" | 21 | 38-25 | 25 |

#### საფრანგეთი

**32-ე ტური.** „ტულონი" — „სენტ ეტიენი" 0:0, „სენ-ჟერმენი" — „ნიცა" 1:0, „კაენი" — „სტრასბურგი" 3:3, „ჟირონდა" (ბორდო) — „რესინგი" 3:2, „მეცი" — „მარსელი" 1:3, „ნანტი" — „ლავალი" 1:1, „კანი" — „ლანი" 3:0, „ლილი" — „ტულუზა" 0:0, „ოსერი" — „სოშო" 2:1, „მონაკო" — „მონპელიე" 4:2.

**იხ. მე-4 გვ.**

საქინფორმის პორტრეტების გალერეა

# მურმან ქურიძე: „თამაშს ჩვენებურად ვხედავთ“

ორმოცდაოთხი წლის საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი — თბილისელი მურმან ქურიძე სსრ კავშირის კალათბურთელთა შარშანდელი ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დასახელებულია ქვეყნის ათ საუკეთესო არბიტრს შორის. ასეთი აღიარება ადასტურებს დიდ პროფესიულ სტაბილურობას, რასაც სტატისტიკაც მოწმობს. 1981 წლიდან თბილისელი შვიდჯერ შეიყვანეს ქვეყნის კალათბურთის საუკეთესო მსაჯების სიაში, თანაც, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში — ზედიზედ. მაგრამ სანამ ასეთ დიდ შეფასებას დაიმსახურებდა, მას მოუწია მეოთხედი საუკუნის განმავლობაში გაევლო ძნელი გზა დიდ სპორტში.

როგორც მრავალი თბილისელი ბიჭი, მურმანიც ოცნებობდა კალათბურთელის კარიერაზე. მეცადინეობდა „ნორჩი დინამოელის“ განთქმულ სკოლაში, შესანიშნავი პედაგოგის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის გიორგი ავალიშვილის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა კალათბურთის ანბანს.

— ჩვენთან სისტემატურად ეწყობოდა შიდასასკოლო ასპარეზობები, — იხსენებს იგი, — და ბატონი გიორგი ხშირად გვთავაზობდა ბიჭებს გვემსაჯა თამაშები. იგი სამართლიანად ფიქრობდა, რომ ყველა ნიუანსის ცოდნა ხელს უწყობს სათამაშო ოსტატობას და ჩვენთვის ეს იყო ღირსების საქმე — ტექნიკასა და ტაქტიკასთან ერთად ვეუფლებოდით მსაჯის ძნელ პროფესიას. ჩემთან ერთად იწყებდნენ გოგი ავალიშვილი და როლანდ გელოვანი, რომლებიც ასევე გახდნენ მაღალი დონის პროფესიონალი არბიტრები.

იმაში, რომ მ. ქურიძემ საბოლოოდ მოახდინა არჩევანი, თავისი როლი შეასრულა ბედნიერმა შემთხვევამ. კიროვის სახელობის პარკში, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ითვლებოდა რესპუბლიკის დედაქალაქის საკალათბურთო ცხოვრების ცენტრად, უნდა გამართულიყო საქართველოს 1963 წლის ჩემპიონატის მთავარი მატჩი „დინამოსა“ და „ბურევესტნიკს“ შორის. და მაშინ, როცა ერთმანეთს ეს ორი ძველი მეტოქე ხვდებოდა, ყველა გამოცდილი მსაჯი როდი ცდილობდა მოედანზე გამოსვლას. თამაშს მუდამ ესწრებოდა ძალზე გულფიცხი მაყურებელი.

— მაშინაც ასე მოხდა: თამაშზე არ გამოცხადდა ერთ-ერთი არბიტრი, — იხსენებს მურმანი. — შემთავაზეს შემეცვალა იგი. რა თქმა



მურმან ქურიძე

უნდა, დავიბენი, მაგრამ უარის თქმა ვერ გავბედე. მანამდე მრავალჯერ მემსაჯა ქალაქის პირველობის, რესპუბლიკის ჭაბუკთა ჩემპიონატის მატჩები და, რა თქმა უნდა, დიდ კალათბურთზე ვოცნებობდი.

ახდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 18 წლის პირველკურსელის ოცნება. მისმა მსაჯობამ კარგი გამოხმაურება დაიმსახურა, რამაც განსაზღვრა ქურიძის ადგილი კალათბურთში. ერთი წლის შემდეგ მას კიდევ ერთხელ გაუმართლა. თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობდა ქვეყნის ქალთა ჩემპიონატის ტური, და მსაჯთა ბრიგადას ერთი კაცი დააკლდა. საბჭოთა მსაჯების კორპუსის უხუცესის, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის ვახტანგ ჯაფარიძის რეკომენდაციით მასში შეიყვანეს მურმანი. მან სამი შეხვედრა იმსაჯა, აქაც კარგი შეფასება დაიმსახურა. მას შემდეგ თბილისელი არბიტრი ქვეყნის ოცდახუთივე ჩემპიონატის უცვლელი მონაწილეა. 1965 წელს იგი გახდა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, სამი წლის შემდეგ კი — საკავშირო კატეგორიისა. ხოლო, 1977 წელს ბულგარეთში გამართულ სპეციალურ სემინარზე გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, მას მიენიჭა საერთაშორისო არბიტრის საპატიო წოდება.

—რა თქმა უნდა, ამ საქმეში შესანიშნავი მასწავლებლები მყავდა, — თქვა მურმანმა. — ისეთები, როგორიც ვახტანგ ჯაფარიძე და როლანდ ხომერიკი, ტალინელი ანცო კიაბი, ამერიკელი ტიმ ვულდრიჯი, ინგლისელი დევიდ ტორნერი და სხვები. მაგრამ განსაკუთრებით მომწონდა ხომერიკისა და ვულდრიჯის დამაჯერებელი მანერა. მათ არა მარტო ესმოდათ თამაშის ყველა ნიუანსი, არამედ ტაქტიკურებიც იყვნენ მოთამაშეთა მიმართ, ახალისებდნენ ათლეტურ თამაშს, რაც საშუალებას აძლევს კალათბურთელებს უფრო სრულად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები. არბიტრების ასეთი მიდგომის შედეგად მათ მიერ გამართული მატჩები იყო უფრო შინაარსიანი, დინამიკური, სანახაობრივი თვალსაზრისით საინტერესო. ასეთი სტილის მომხრე ვარ.

მურმანის ანგარიშზეა სხვადასხვა რანგის მრავალი ტურნირი, მათ შორის ევროპის ორი ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობა — ქალთა ჩემპიონატისა 1981 წელს იტალიაში და 1985 წელს იუგოსლავიაში გამართული ვაჟთა ჩემპიონატი. ორივე შემთხვევაში იგი სჯიდა მესამე ადგილებისათვის გამართულ შეხვედრებს, რადგან ფინალში საბჭოთა გუნდები გამოდიოდნენ. იგი იყო მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური ასპარეზობის მსაჯთა კორპუსის წევრიც.

— მაგრამ ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ქვეყნის ჩემპიონატის მატჩი 1978 წელს კაუნასის „ჟალგირისსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის, — თქვა მურმან ქურიძემ. — უაღრესად დაძაბულ ორთაბრძოლაში მოსკოველები დამარცხდნენ. მაგრამ მათმა მწვრთნელებმა გულწრფელად გადაგვიხადეს მადლობა არბიტრებს უშეცდომო მსაჯობისათვის. ეს ჩვენი შრომის საუკეთესო შეფასება იყო. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები არცთუ ისე ხშირია. როგორც წესი, მსაჯებს ყოველთვის ადანაშაულებენ დამარცხებაში. და კიდევ არ დამავიწყდება სსრ კავშირის ნაკრები გუნდისა და ამერიკის კლუბის „ატლანტა ჰოუქსის“ შარშანდელი შეხვედრა თბილისში, რომელიც ჩემი პირველი მატჩი იყო პროფესიონალების მონაწილეობით.

**● რა ძირითადი თვისებები უნდა ჰქონდეს კალათბურთის არბიტრს?**

— ისეთივე, როგორც ყველა მსაჯს — სპორტის თავისი სახეობის ღრმა ცოდნა, ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, გამბედაობა. პრინციპულობა და სითამამეც კი. თუ საკუთარ თავში დარწმუნებული არა ხარ, მაშინ ვერ დაიმორჩილებ ორ ათეულ გოლიათს, და თამაშიც გაფუჭდება. და კიდევ — ყველა შენი სიმპათია და ანტიპათია უნდა დატოვო მოედნის ფარგლებს გარეთ.

**● და მაინც, ძნელი წარმოსადგენია, რომ შეიძლება იყო შესანიშნავი საკალათბურთო სპექტაკლის მონაწილე და გულგრილი დარჩე...**

— გულგრილი კი არა, ნეიტრალური. არბიტრს თავისი კონკრეტული მოვალეობა აქვს, და იმაზე, თუ როგორ გაართმევს მას თავს, დამოკიდებულია საზეიმო განწყობილება არა მარტო მოედანზე, არამედ დარბაზშიც. მაგრამ თუ მკითხავენ ამა თუ იმ მატჩის სილამაზეზე, სანახაობრიობაზე, პასუხის გაცემა გამიჭირდება. როცა ხარ მოედანზე, მოვლენათა შუაგულში, თამაშის ამ მხარეებს ვერ ამჩნევ. ჩვენ ჩვენი პრობლემები გვაქვს: გავუძღვეთ თამაშს, წარვმართოთ იგი. ტრიბუნებზეც კი, მაყურებელთა შორის, უწინარეს ყოვლისა, პროფესიული თვალსაზრისით ვაფასებ მხოლოდ ჩემი კოლეგების მოქმედებას. ჩვენ, არბიტრები, თამაშს ჩვენებურად ვხედავთ, — თქვა ბოლოს ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, გურჯაანის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარმა ინჟინერ-ტექნოლოგმა მურმან ქურიძემ, რომლისთვისაც კალათბურთი ცხოვრების საქმე გახდა.

**ზ. შალოლაშვილი,**
**საქინფორმის კორ.**

## კალეიდოსკოპი

### სა[illegible] მოგზაურობა

59 წლის იაპონელ[illegible] [illegible] ტან გადაწყვეტილი აქვს [illegible] ნავით წყნარი ოკეანე გადაცუროს. აპრილის ბოლოს მისი „ხომალდი“ (სიგრძე 2,8 მეტრი, სიგანე — 1,5 მეტრი) სტარტს აიღებს სან-ფრანცისკოში. მოგზაური დარწმუნებულია, რომ სამი თვის შემდეგ მიადგება იაპონიის კუნძულებს.

ხორიტას 60-კილოგრამიანი ნავი დაამზადა ცნობილმა იაპონურმა ფირმამ „ხემიძიმ“. აშშ-ს დასავლეთ სანაპიროდან ფათერაკების მოყვარული მოგზაური კურსს ჰავაის კუნძულებისკენ აიღებს, რაშიც მას 12 ათასკილომეტრიან ცურვაში ზურგქარმა უნდა შეუწყოს ხელი.

### ახალი ჩემპიონი მოითხოვს

ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიოს ახალი ჩემპიონი, იაპონელი მიდორი იტო მომხრეა, რომ წაიშალოს ყოველგვარი ზღვარი მოყვარულთა და პროფესიულ სპორტს შორის. 19 წლის იაპონელი კანონიერად ამაყობს თავისი ამასწინანდელი გამარჯვებით და სურვილს გამოთქვამს, რომ ერთხელ კიდევ შეხვდეს მსოფლიოს უძლიერეს ფიგურისტებს.

— ყველაზე მეტად მაინტერესებს კატარინა ვიტთან შეხვედრა, რომელიც ამჟამად პროფესიონალებში გამოდის. დარწმუნებული ვარ, დღეს მის დამარცხებას შევძლებდი, — ასკვნის მიდორი იტო.

### უნიკალური რეკორდი

ერვინ ფერენს-რისს, როგორც მოციგურავე ქალს, მსოფლიოში მხოლოდ სპეციალისტები იცნობენ. არადა, თავის ქვეყანაში — პოლონეთში იგი უნიკალურ რეკორდსმენად ითვლება.

ჟურნალისტების შეკითხვაზე რამდენჯერ იყო იგი პოლონეთის ჩემპიონი, სპორტსმენმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა. მაშინ საქმეში სტატისტიკოსები ჩაერივნენ, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ ფერენს-რისს 81 ოქროს მედალი აქვს მიღებული თავისი ქვეყნის ჩემპიონატებში გამარჯვებისთვის.

### ახალი ხელმძღვანელი

ბელგიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტზე აირჩიეს 47 წლის დოქტორი ჟაკ როგე. მან ამ თანამდებობაზე შეცვალა რაულ მოლე, რომელიც მთელი 25 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა იქ ოლიმპიურ მოძრაობას. მოლემ არჩევნებში მონაწილეობა არ ისურვა, ამიტომ როგეს კონკურენტი ფაქტიურად არ ჰყოლია. მოლე დარჩა ბელგიის ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტად.

ახალი ხელმძღვანელის უპირველესი მიზანია კომიტეტის მუშაობის სტაბილიზება და კონტაქტის გაღრმავება სპორტსმენებთან.

**პარიზი.** წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის გუნდებმა. საბჭოთა წყალბურთელებმა აჯობეს ესპანელებს 10:7 (2:1, 2:3, 3:1, 3:2), უნგრელებმა კი ამერიკელებს — 11:10 (5:2, 2:2, 1:2, 3:4).

ფინალური შეხვედრა საბჭოთა წყალბურთელებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს და დაამარცხეს უნგრეთის გუნდი — 15:6 (4:3, 1:2, 5:0, 5:1), მესამე ადგილი დაიკავა ესპანეთის ნაკრებმა, რომელმაც დამატებით დროში ამერიკელებს აჯობა — 11:9.

**ამელია აილენდი** (აშშ). ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის წყვილთა ნახევარფინალში გაიმარჯვეს ნატალია ზვერევამ და ლარისა სავჩენკომ. ამ წყვილმა შეჯიბრებიდან გამოთიშა ამერიკელთა დუეტი (მერი ნორვუდი და ჯეინ




თომასი) — 6:2, 6:1. ქალთა ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დასავლეთგერმანელი შტეფი გრაფი (ნახევარფინალში ესპანელ პრანტა სანჩესს აჯობა — 6:3, 6:2) და არგენტინელი გაბრიელა საბატინი (დაამარცხა ამერიკელი მარტინა ნავრატილოვა 6:3, 6:2).

გაიმართა ფინალური ორთაბრძოლა, რომელიც საბატინიმ მოიგო 3:6, 6:3, 7:5. ეს იყო შტეფი გრაფის პირველი მარცხი ზედიზედ 31 მატჩში გამარჯვების შემდეგ.

**განგკოკი.** მოკრივეთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში გუნდური გამარჯვება გდრ-ის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

**საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები**

(დასასრული)

| | | | |
|---|---|---|---|
| „სენ ჟერმენი“ | 32 | 38-22 | 61 |
| „მარსელი“ | 31 | 48-30 | 59 |
| „ოსერი“ | 32 | 36-26 | 57 |

**პოლონეთი**

**მე-19 ტური.** „ოლიმპია“ — „შომბერკი“ 1:2, „სლასკი“ — „ვალბჟიხი“ 1:0, „სტალი“ — „იასტრებიე“ 0:1, „პოგონი“ — „ლეხი“ 1:1, „რუხი“ — „ბიალისტოკი“ 1:0, „ვიძევი“ — „კს ლოძი“ 3:1, „გურნიკი“ — „გკს კატოვიცე“ 3:0, „ლეგია“ — „ვისლა“ 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „გურნიკი“ | 19 | 38-14 | 34 |
| „რუხი“ | 19 | 24-11 | 30 |
| „ლეგია“ | 19 | 28-11 | 29 |

**უნგრეთი**

**21-ე ტური.** „ზალაეგერსზეგი“ — „ვაკი“ 1:2, „კოჰაჩი“ — „სიოფოკი“ 2:3, „დოჟა უიპეშტი“ — „ვესპრემი“ 2:0, „ბეკეშაბა“ — „ტატაბანია“ 1:0, „სომბათჰეი“ — „ვაშაში“ 1:2, „პეჩი“ — „რაბა ეტო“ 0:2, „ჰონვედი“ — „ფერენცვაროში“ 2:1, მტკ — „შეკეშეჰერვარი“ 4:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| მტკ | 21 | 36-29 | 44 |
| „შეკეშეჰერვარი“ | 21 | 46-27 | 40 |
| „ფერენცვაროში“ | 21 | 34-25 | 40 |

**იტალია**

**23-ე და 24-ე ტურები.** „რომა“ — „ჩეზენა“ 1:0, „ასკოლი“ — „ლეჩე“ 1:1, „ვერონა“ — „ლაციო“ 0:0, „ფიორენტინა“ — „პიზა“ 3:0, „ბოლონია“ — „სამპდორია“ 0:0, „მილანი“ — „ნაპოლი“ 0:0, „ჩეზენა“ — „ინტერი“ 1:2, „სამპდორია“ — „ფიორენტინა“ 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ინტერი“ | 24 | 45-11 | 42 |
| „ნაპოლი“ | 24 | 44-19 | 35 |
| „სამპდორია“ | 24 | 32-15 | 31 |

**ჰოლანდია**

**27-ე-28-ე ტური.** „ვალვიკი“ — „ტვენტე“ 1:1, „ეინდჰოვენი“—„სპარტა“ 0:1, „ჰარლემი“ — „ცვოლე“ 0:0, „გრონინგენი“ — „აიაქსი“ 1:4, „უტრეჰტი“—„ვეენდამი“ 3:0, „მაასტრიჰტი“ — „ტილბურგი“ 0:2, „ტვენტე“ — „ეინდჰოვენი“ 1:1, „უტრეჰტი“ — „აიაქსი“ 0:2, „ფეიენოორდი“ — „დენ ბოში“ 3:0, „როდა“ — „სიტარდი“ 1:1, „ვოლენდამი“ — „ვენლო“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ეინდჰოვენი“ | 28 | 65-28 | 42 |
| „აიაქსი“ | 28 | 64-29 | 41 |
| „ტვენტე“ | 27 | 37-19 | 33 |

**ესპანეთი**

**28-ე ტური.** „სარაგოსა“ — „ბარსელონა“ 0:0, „ოვიედო“ — „მალაგა“ 2:3, „კადისი“ — „ესპანოლი“ 0:0, „ატლეტიკო“ — „ელჩე“ 3:1, „სევილია“ — „ვალენსია“ 1:0, „ვალიადოლიდი“ — „სარაგოსა“ 1:0, „რეალი“ — „მურსია“ 3:0, „ბილბაო“ — „პამპლონა“ 0:0, „ლოგრონიესი“ — „ხიხონი“ 1:0, „სელტა“ — „სან სებასტიანი“ 2:2, „მურსია“ — „ბეტისი“ 0:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ | 27 | 68-26 | 46 |
| „ბარსელონა“ | 28 | 56-20 | 42 |
| „სელტა“ | 27 | 29-27 | 32 |

**რუმინეთი**

**21-ე ტური.** „მორენი“ — „სიბიუ“ 5:0, „ოლტი“ — „სტიაუა“ 1:3, „დინამო“ — „ბრაშოვი“ 3:0, „ჰუნედოარა“ — „ტირგუმურეში“ 2:0, „არჯესი“ — „ორადეა“ 2:1, „კლუჟი“ — „გალატი“ 4:0, „კრაიოვა“ — „კონსტანცა“ 1:0, „სპორტული“ — „ბაკაუ“ 2:1, „რაპიდი“ — „ვიქტორია“ 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სტიაუა“ | 21 | 76-18 | 41 |
| „დინამო“ | 21 | 84-18 | 39 |
| „ვიქტორია“ | 21 | 52-31 | 31 |

**გფრ**

**25-ე ტური.** „კიოლნი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 2:2, „ბაიერნი“ — „ვერდერი“ 0:0, „ჰამბურგი“ — „კიოლნი“ 0:1 (24-ე ტური), „კარლსრუე“ — „ნიურნბერგი“ 1:1, „კაიზერსლაუტერნი“ — „სენტ პაული“ 1:0 (24-ე ტური), „ლევერკუზენი“ — „ვიკერსი“ 1:3, „აინტრაჰტი“ — „ბოჰუმი“ 1:1, „მიონხენგლადბახი“ — „ბაიერნი“ 2:1 (24-ე ტური), „დორტმუნდი“ — „მანჰეიმი“ 1:2, „ვერდერი“—„ჰანოვერი“ (24-ე ტური) 1:0, „შტუტგარტი“ — „იურდინგენი“ 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი“ | 25 | 45-19 | 37 |
| „კიოლნი“ | 25 | 43-19 | 34 |
| „ვერდერი“ | 25 | 38-25 | 32 |

**დანია**

**1 ტური.** „ნესტვედი“ — „ბრონშიო“ 1:0, „სილკებორგი“ — „ოდენზე“ 1:1, „ვეილე“ — „1903 კოპენჰაგენი“ 1:0, „ლუნგბიუ“ — „ფრამი“ 1:0, „1913 ოდენზე“ — „ორხუსი“ 0:2, „ბრონდბიუ“ — „ალბორგი“ 2:0, „ჰერფოლგე“ — „იკასტი“ 2:2.

(საქ. ინფ.)

## „სპორტპროგნოზი“

**მე-16 ტირაჟის შედეგები (15-16 აპრილი)**

1-1, 2-1, 3-2, 4-X, 5-1, 6-1, 7-X, 8-1, 9-X, 10-X, 11-X, 12-2, 13-1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს. თამაშის გადატანასთან დაკავშირებით მე-7 წყვილის შედეგი განსაზღვრულია კენჭისყრით.

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე

კლასიკური სტილის ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა სსრ კავშირის სპორტის ოსტატი

გივი შალვას ძე ჭითავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10418